

როგორ ხორციელდება უცხოური  
ხარისხის უზრუნველყოფის  
სააგენტოს/ორგანიზაციის მიერ  
მინიჭებული აკრედიტაციის აღიარება  
სსიპ - განათლების ხარისხის  
განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ

სახელმძღვანელო  
მითითებები



---

თბილისი, 2021

## სარჩევი

1. შესავალი.....	2
2. საკანონმდებლო საფუძვლები .....	2
3. უცხო ქვეყნის ორგანიზაციის მიერ მინიჭებული აკრედიტაციის აღიარება.....	2
3.1 ევროკავშირის წევრი ქვეყნების ტერიტორიაზე მოქმედი და ENQA-ს წევრი სააგენტოს (EQAR-ში რეგისტრირებული) მიერ მინიჭებული აკრედიტაციის აღიარება .....	3
3.2 ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე მოქმედი ორგანიზაციის მიერ მინიჭებული აკრედიტაციის აღიარება.....	4
3.3 სხვა ნებისმიერი უცხოური ორგანიზაციის მიერ მინიჭებული აკრედიტაციის აღიარება5	
4. უცხოური ორგანიზაციის მიერ მინიჭებული აკრედიტაციის პირობების შემოწმება .....	6



## 1. შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი შედგენილია სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) მიერ, რომლის მიზანია, დაინტერესებულ პირებს გააცნოს, უცხოური ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს/ორგანიზაციის მიერ შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამისათვის მინიჭებული აკრედიტაციის ცენტრის მიერ აღიარების თანმიმდევრული პროცედურები.

ცენტრი მიესალმება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინიციატივასა და ძალისხმევას, მოიპოვონ უცხოური ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს/ორგანიზაციისგან შესაბამისი აკრედიტაცია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამისათვის და ამავდროულად, ქმნის ხელსაყრელ პირობებს, რათა დაწესებულებებმა შესაბამისი მექანიზმების გამოყენებით, მოახდინონ მინიჭებული აკრედიტაციის აღიარება.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, აკრედიტაციის სამართლებრივი შედეგები თანაბრად ვრცელდება ასევე ცენტრის მიერ აღიარებულ აკრედიტებულ პროგრამაზე.

## 2. საკანონმდებლო საფუძვლები

- [„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის](#) მე-19 მუხლის მე-3 პუნქტი. [„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის](#) 63-ე მუხლის 1<sup>3</sup> პუნქტი.

• „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები, მათ შორის, ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაცია შეიძლება განახორციელოს ცენტრის მიერ აღიარებულმა შესაბამისი კომპეტენციის მქონე უცხოურმა ორგანიზაციამ. აღიარება ხორციელდება აკრედიტაციის დებულებით დადგენილი წესის შესაბამისად;

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების [აკრედიტაციის დებულების](#)“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულება) 28-ე მუხლი - მოცემულია რეგულაციები უცხოური ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს/ორგანიზაციის მიერ მინიჭებული აკრედიტაციის აღიარების შესახებ.

## 3. უცხო ქვეყნის ორგანიზაციის მიერ მინიჭებული აკრედიტაციის აღიარება

აკრედიტაციის დებულების მიხედვით, ცენტრი აღიარებს აკრედიტაციას, რომელიც მინიჭებულია:

- ევროკავშირის წევრი ქვეყნების ტერიტორიაზე მოქმედი და უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ქსელის (ENQA) წევრი და უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების დამოუკიდებელი სააგენტოების ევროპულ

რეესტრში (EQAR) რეგისტრირებული იმ ორგანიზაციის მიერ, რომელსაც ამგვარი უფლებამოსილება გააჩნია შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილი წესით;

- ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე მოქმედი ორგანიზაციის მიერ, რომელსაც ამგვარი უფლებამოსილება გააჩნია შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი წესით და ამ ორგანიზაციის მიერ გამოყენებული გარე შეფასების მექანიზმი, ხარისხის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, თავსებადია ეროვნულ დონეზე მოქმედ აკრედიტაციის სტანდარტებთან და პროცედურებთან;
- სხვა ნებისმიერი ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს მიერ, თუ ამ ორგანიზაციის მიერ გამოყენებული გარე შეფასების მექანიზმი, ხარისხის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, თავსებადია ეროვნულ დონეზე მოქმედ აკრედიტაციის სტანდარტებთან და პროცედურებთან, და ამგვარი აღიარების შესახებ დათქმა გათვალისწინებულია საერთაშორისო ხელშეკრულებით.

აკრედიტაციის დებულების შესაბამისად, პროცედურების ნაწილში გამიჯნულია - ევროკავშირის წევრი ქვეყნების ტერიტორიაზე მოქმედი და ENQA-ს წევრი სააგენტოს (EQAR-ში რეგისტრირებული), ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე მოქმედი ორგანიზაციისა და სხვა ნებისმიერი ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს მიერ მინიჭებული აკრედიტაციის აღიარების პროცედურა. ამასთან, განსაზღვრულია აღიარების პროცესში ცენტრში განაცხადის წარდგენის და მინიჭებული აკრედიტაციის ცენტრის მიერ აღიარების პირობები.

სასარგებლოა ის გარემოება, რომ დაწესებულებებს აქვთ საშუალება, წინასწარი განაცხადი გააკეთონ ცენტრში უცხო ქვეყნის სააგენტოსთან მიმართვამდე, რაც მათ მისცემთ შესაძლებლობას, წინასწარ დარწმუნდნენ მათი გადაწყვეტილების მართებულობაში სააგენტოს არჩევასთან და შემდგომში, აღიარების მიღების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

**3.1 ევროკავშირის წევრი ქვეყნების ტერიტორიაზე მოქმედი და ENQA-ს წევრი სააგენტოს (EQAR-ში რეგისტრირებული) მიერ მინიჭებული აკრედიტაციის აღიარება**  
აღიარების პროცედურა და პირობები არის გამარტივებული ევროკავშირის წევრი ქვეყნების ტერიტორიაზე მოქმედი და ENQA-ს წევრი სააგენტოს (EQAR-ში რეგისტრირებული) მიერ მინიჭებული აკრედიტაციის აღიარებისათვის. აღიარების მიღება შესაძლებელია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ცენტრში შესაბამისი დოკუმენტების წარდგენის საფუძველზე.

საწყის ეტაპზე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება შესაბამისი ორგანიზაციისათვის სააკრედიტაციო განაცხადით მიმართვას ახდენს, ცენტრისაგან წინასწარი თანხმობის მიღების საფუძველზე.

თანხმობის მიღების მიზნით, ცენტრს წარედგინება შემდეგი დოკუმენტები:

- შესაბამისი განაცხადი - წინასწარი აღიარების მოთხოვნის შესახებ;

- ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ: - პროგრამის სახელწოდების, მისანიჭებელი კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების, პროგრამის შემადგენელი კომპონენტების, კრედიტების რაოდენობის, კრედიტების განაწილების მითითებით.

აღიარება ხორციელდება ცენტრში შესაბამისი დოკუმენტების წარდგენის საფუძველზე:

- უცხოური ორგანიზაციის მიერ შექმნილი აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა;
- უცხოური ორგანიზაციის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება.

ამ შემთხვევაში არ ხდება აკრედიტაციის სტანდარტებისა და პროცედურების დადარება ეროვნულ სტანდარტებთან და პროცედურებთან, რადგან ENQA-ს წევრი ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოები უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმების განხორციელების პროცესში ეყრდნობიან და ხელმძღვანელობენ უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებითა და სახელმძღვანელო პრინციპებით (ESG).

### 3.2 ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე მოქმედი ორგანიზაციის მიერ მინიჭებული აკრედიტაციის აღიარება

ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე მოქმედი იმ ორგანიზაციის მიერ აკრედიტაციის მიღებისა და აღიარების მიზნით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ამ ორგანიზაციისათვის სააკრედიტაციო განაცხადით მიმართვას ახდენს ცენტრისაგან წინასწარი თანხმობის გაცემის საფუძველზე.

წინასწარი თანხმობის მიღების მიზნით ცენტრს წარედგინება შემდეგი დოკუმენტები:

- შესაბამისი განაცხადი - წინასწარი აღიარების მოთხოვნის შესახებ;
- განცხადის განხილვის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა (აკრედიტაციის დებულების დანართი 4, მუხლი 1) – 1000 ლ;
- ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ: - პროგრამის სახელწოდების, მისანიჭებელი კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების, პროგრამის შემადგენელი კომპონენტების, კრედიტების რაოდენობის, კრედიტების განაწილების მითითებით.
- ინფორმაცია აკრედიტაციის განმახორციელებელი ორგანიზაციის სტატუსისა და უფლებამოსილების, აკრედიტაციის სტანდარტებისა და პროცედურების შესახებ.

ცენტრი სწავლობს საგანმანათლებლო პროგრამის მახასიათებლებისა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების საქართველოს კანონმდებლობასთან თანხვედრას.

ცენტრის წინასწარი თანხმობა გაიცემა, ორგანიზაციის მიერ გამოყენებული გარე ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების მექანიზმის ეროვნულ დონეზე მოქმედ აკრედიტაციის სტანდარტებთან და პროცედურებთან თავსებადობის პირობებში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ცენტრი გასცემს უარს საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მითითებული ორგანიზაციის მიერ მინიჭებული აკრედიტაციის აღიარებაზე.

აღიარება ხორციელდება ცენტრში შესაბამისი დოკუმენტების წარდგენის საფუძველზე:

- უცხოური ორგანიზაციის მიერ შექმნილი აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა;

- უცხოური ორგანიზაციის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება.

### 3.3 სხვა ნებისმიერი უცხოური ორგანიზაციის მიერ მინიჭებული აკრედიტაციის აღიარება

ცენტრი უფლებამოსილია ასევე აღიაროს სხვა ნებისმიერი უცხოური ორგანიზაციის მიერ მინიჭებული აკრედიტაცია, თუ ამ ორგანიზაციის მიერ გამოყენებული გარე ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების მექანიზმი, თავსებადია ეროვნულ დონეზე მოქმედ აკრედიტაციის სტანდარტებთან და პროცედურებთან, და ამგვარი აღიარების შესახებ დათქმა გათვალისწინებულია *საერთაშორისო ხელშეკრულებით*.

წინასწარი თანხმობის მიღების მიზნით ცენტრს წარედგინება შემდეგი დოკუმენტები:

- საერთაშორისო ხელშეკრულების პროექტის მომზადებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურის მიმართვა - წინასწარი აღიარების მოთხოვნის შესახებ;
- ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ: - პროგრამის სახელწოდების, მისანიჭებელი კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების, პროგრამის შემადგენელი კომპონენტების, კრედიტების რაოდენობის, კრედიტების განაწილების მითითებით.

ცენტრი სწავლობს საგანმანათლებლო პროგრამის მახასიათებლებისა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების საქართველოს კანონმდებლობასთან თანხვედრას.

ცენტრის წინასწარი თანხმობა გაიცემა, ორგანიზაციის მიერ გამოყენებული გარე ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების მექანიზმის ეროვნულ დონეზე მოქმედ აკრედიტაციის სტანდარტებთან და პროცედურებთან თავსებადობის პირობებში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ცენტრი გასცემს უარს საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მითითებული ორგანიზაციის მიერ მინიჭებული აკრედიტაციის აღიარებაზე.

აღიარება ხორციელდება ცენტრში შესაბამისი დოკუმენტების წარდგენის საფუძველზე:

- გაფორმებული საერთაშორისო ხელშეკრულების (შესაბამისად დამოწმებული) ასლი;
- უცხოური ორგანიზაციის მიერ შექმნილი აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა;
- უცხოური ორგანიზაციის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება.

უმალესი საგანმანათლებლო დაწესებულება აკრედიტაციის აღიარებისათვის წინასწარი თანხმობის მისაღებად ცენტრში განაცხადს წარადგენს სააგენტოსადმი/ორგანიზაციისადმი მიმართვამდე 30 კალენდარული დღის ადრე;

ცენტრის მიერ აღიარების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება აღიარების განაცხადის წარდგენიდან 30 კალენდარული დღის ვადაში. ხოლო თუკი საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენისათვის, აუცილებელია 30 კალენდარულ დღეზე მეტი ვადა, ცენტრი უფლებამოსილია ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისას მიიღოს გადაწყვეტილება აღნიშნული ვადის 60 კალენდარულ დღემდე გაზრდის თაობაზე.

#### 4. უცხოური ორგანიზაციის მიერ მინიჭებული აკრედიტაციის პირობების შემოწმება

აკრედიტაციის დებულების შესაბამისად განსაზღვრული რეგულაციით, უცხოური ორგანიზაციის მიერ მინიჭებული აკრედიტაციის პირობების შემოწმების ნაწილში, ცენტრმა შეიმუშავა მექანიზმი, რომლის მიხედვითაც, საჭიროების შემთხვევაში, უცხოურ ორგანიზაციასთან წინასწარი შეთანხმებით განხორციელდება უცხოური ორგანიზაციის მიერ მინიჭებული აკრედიტაციის პირობების შემოწმება არაგეგმიური მონიტორინგის გზით. მონიტორინგის აღნიშნული მექანიზმის გამოყენების შედეგად შედგენილი ექსპერტთა დასკვნა გაეგზავნება შესაბამის უცხოურ ორგანიზაციას.

დამატებით, აღსანიშნავია, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს ვალდებულება, ცენტრს მიაწოდოს როგორც უცხოური ორგანიზაციის მიერ მინიჭებული აკრედიტაციის შესახებ გადაწყვეტილებაში ნებისმიერი ცვლილება, ასევე თავად უცხოური ორგანიზაციის მიერ აკრედიტაციის პირობების შემოწმების (მონიტორინგის) შედეგების შესახებ ინფორმაცია.

